

2019 წელს ლუხვანოს თემში მრავალი პროექტი იყო გასაკეთებელი. ამ პროექტებიდან უმეტესობა შესრულებულია. სოფ.ქვედა ლუხვანოში სოფლის პროგრამით გაკეთდა გარე განათება, დაიგო ბეტონის გზა, რამდენიმე მეტრზე გამოიცვალა წყლის მილები. ასევე სოფელ ზარაგულაში გაკეთდა გასასვლელი გზა , სადაც დაზიანებული იყო მდინარეზე გადასასვლელი ბეტონის ტრუბები, გამოიცვალა და ჩაიწყო ახალი ბეტონის ტრუბები და მას გაუკეთდა გაბიონები. სოფ.ზარაგულას მეწყრიდან დაზიანებული გზა გაიწმინდა და გაკეთდა გაბიონები. მდინარე ნამკაშურს გაუკეთდა კალაპოტი, გაიწმინდა ტრაქტორით , რადგან არ დაზიანებულიყო ზარაგულას გაკეთებული ახალი გაჭრილი გზა.

ასევე სოფ.ზედა ლუხვანოში გასასვლელ ხიდს ესაჭიროება შეკეთება და გაუკეთდა გაბიონები.

ზედა ლუხვანოში სოფლის პროგრამით გაკეთდა გარე განათება. გაკეთდა ცხაური სადაც მიედინება წისქვილის წყალი და გაუკეთდა არხი. ასევე ორ ადგილას ჩაიწყო ბეტონის ტრუბები, რომელსაც ორივე ადგილას გაუკეთდა გაბიონები.